პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 76 (7387)

1983 წ. 20 აპრილი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, კულტურას, პროფესიულ ოსტატობას!

იყავით ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის შეგნებული მებრძოლები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.



## საქართველოს სპორტკომიტეტში

აპრილის დამდეგს ავსტრიის ქალაქ ფელდენში ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონმა ნ. იოსელიანმა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ანგარიშით 6:3 დაამარცხა ჩინელი დიდოსტატი ლიუ შილანი და ნახევარფინალის საგზური მიიღო. ეს იყო ძნელ ბრძოლაში მოპოვებული დამსახურებული გამარჯვება. მატჩში ნ. იოსელიანს მწვრთნელობა გაუწიეს დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ და მოსკოველმა ოსტატმა ვ. ლეპიოშკინმა.

გუშინ ნ. იოსელიანი და ბ. გურგენიძე მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ რ. გოგლიძემ.

ქართველმა მოჭადრაკეებმა ისაუბრეს ფელდენის მატჩზე, მის პერიპეტიებზე, შემდეგ კი ილაპარაკეს სამომავლო გეგმებზე.

ნ. იოსელიანმა მადლობა გადაუხადა სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას დახმარებისა და ქომაგობისთვის.

რ. გოგლიძემ მიულოცა ნ. იოსელიანს გამარჯვება, მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის შემდგომ ეტაპზე გასვლა, გადასცა სამახსოვრო საჩუქარი და ახალი წარმატებები უსურვა.

• • •

სურათზე: ნ. იოსელიანი (მარცხნივ) და ბ. გურგენიძე საქართველოს სპორტკომიტეტში.

ე. ხუცურაულის ფოტო.

● კლასიკური ჭიდაობა

## განთიადელთა უპირატესობით

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის მანეჟში გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების პირადგუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ამ შეჯიბრებებში 1966-67 წლებში დაბადებული 100-მდე ჭაბუკი ფალავანი მონაწილეობდა. შეჯიბრება გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ვ. ქურდიანმა.

მაყურებელი არა ერთი საინტერესო ორთაბრძოლის მოწმე გახდა. თავიდანვე დაწინაურდნენ სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის (დირექტორი ე. თვალჭრელიძე) წარმომადგენლები, რომლებმაც საბოლოოდ 431 ქულა მოაგროვეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. მომდევნო საპრიზო ადგილზე გავიდნენ „ზენიტისა“ და „ლოკომოტივის“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს პროფსაბჭოს ჩემპიონები გახდნენ გ. ფილაური, ი. გუჩაშვილი (პროფკავშირთა საზოგადოება), მ. რუბაშვილი („განთიადი“), გ. ნარიმანიძე („ბურევესტნიკი“), ლ. ტეტუნაშვილი („განთიადი“), რ. ბერიძე, ზ. ბოლქვაძე (ორივე — „კოლმეურნე“), ზ. ხუციშვილი („განთიადი“), გ. უგრეხელიძე („ვოდნიკი“), ქ. ოჩიგავა („სპარტაკი“), ზ. ქარქუსაშვილი, გ. მაკალათია (ორივე — „განთიადი“), თ. თედორაძე („სპარტაკი“), ვ. ქარსელაძე („ბურევესტნიკი“), ქ. ვრონიაკი („განთიადი“).

ახლო მომავალში ანალოგიური შეჯიბრებები გაიმართება სამბოში, ძიუდოში და თავისუფალ ჭიდაობაში.

ვ. ჭიჭნაძე,
საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი, სპორტის ოსტატი.

## საბჭოთა სპორტსმენების წარმატება

რუსეთი. ნოვოსიბირსკელმა ნ. შარიპოვამ და მინსკელმა ნ. მატვეევამ წარმატებას მიაღწიეს სპორტული სიარულის ტრასებზე, სადაც 11 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შარიპოვამ 3-კილომეტრიანი მანძილი13.54,3-ში დაფარა, მატვეევამ ყველას აჯობა 20 კმ-ზე ასპარეზობაში (1:21.18). მეორე იყო რ. ვაიგელი (გდრ) — 1:21.20, მესამე ლ. ივანოვი (ბულგარეთი) — 1:22.42.

## ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

ჭიდაობის მრავალრიცხოვანი მოყვარულები შეიკრიბნენ კვირას თბილისის ძველ უბანში — რიყეზე, სადაც უკვე ტრადიციად იქცა შეჯიბრების ჩატარება ქართულ ჭიდაობაში. ამჯერად ასპარეზობაში მონაწილეთა უმრავლესობას გლდანის რაიონისა და ყვარლის ფალავნები შეადგენდნენ.

• • •

გ. მერაბოვის ფოტოსურათებზე სწორედ ამ სპორტული დღესასწაულის მომენტებია ასახული.







მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩები

## ნანა იოსელიანის მეტოქეა ლიდია სემიონოვა

### ...ბად-კისინგენში

მ. მურეშან — ლ. სემიონოვას მატჩის დასკვნითი, მეათე პარტია, რომელიც 17 აპრილს გათამაშდა, გადადებული იყო მურეშანისთვის მოსაგებ პოზიციაში, მაგრამ თამაშის განახლებისას სემიონოვას იგი არ წაუგია. თავგამოდებული წინააღმდეგობით სასურველ ყაიმს მიაღწია და მატჩიც მოიგო — 5,5:4,5.

ამრიგად, კიეველმა დიდოსტატმა ლიდია სემიონოვამ ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. მურეშანთან ორთაბრძოლაში მან ოთხი პარტია მოიგო, სამი ყაიმით დაამთავრა და სამი წააგო.

პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში ლ. სემიონოვა შეხვდება ნ. იოსელიანს.

● ჭადრაკი

### ...ფელდენში

ვ. სმისლოვ — რ. ჰიუბნერის დამატებითი მიკრომატჩის მესამე გადადებული პარტია გუშინწინ ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიშია 6,5:6,5.

სათამაშო დარჩა მიკრომატჩის დასკვნითი, მეოთხე პარტია. თუ ისიც ყაიმით დასრულდა, მაშინ ნახევარფინალისტს კენჭისყრა გაარკვევს.

## სპორტის სამსახურშია „სპორტსაქონელი?“

წერილი რედაქციას

— ეს უცნაური კითხვა ერთი უსიამო ფაქტის შემდეგ დაგვებადა:

გასული თვის ბოლოს შევიტყვეთ, რომ გაერთიანება „სპორტსაქონელში“ შეიძლებოდა ნაღდ ანგარიშზე შეგვეძინა სპორტულ და მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდების წევრთათვის საჭირო მაღალი ხარისხის სპორტული კოსტუმები და ე. წ. „კროსოვკები“.

ელეგანტური, მოხდენილი სპორტული ფორმა, მოგეხსენებათ, რამდენად აუცილებელია ჩვენთვის, განსაკუთრებით სპორტის დიდი ფორუმის, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დღეებში.

ასეთი ფორმის შეძენის სურვილი ყველა სპორტსმენმა — 50-მდე ვაჟმა და გოგონამ გამოთქვა. შუამდგომლობისათვის მივმართეთ საქართველოს სპორტკომიტეტს. გაერთიანება „სპორტსაქონლის“ დირექტორის მოადგილე ს. გიორგაძეს შევუთანხმდით ჩვენთვის საჭირო ფორმების შეძენის თაობაზე. სასწრაფოდ შევკრიბეთ საჭირო თანხა და ჩვენი სკოლის ერთ-ერთი მუშაკი გაერთიანების დირექციაში ვაფრინეთ. თხოვნის ქაღალდზე გაჩნდა სათანადო რეზოლუცია, რეზოლუციას კი მოჰყვა... არა, საქმე არ მოჰყოლია, შეგვპირდნენ: ორ-სამ დღეში გამოიარეთ და ყველაფერს გავაკეთებთო. ორი-სამი დღის შემდეგ გვითხრეს, რამდენიმე დღეში მოგიგვარებთო და ა. შ. ბოლოს იძულებულნი გავხდით იმედგაცრუებული სპორტსმენებისთვის ფული უკანვე დაგვებრუნებინა.

სწორედ ამის შემდეგ დაგვებადა ასეთი კითხვა და იქნებ თქვენ გვიპასუხოთ: არის კი გაერთიანება „სპორტსაქონელი“ სპორტის სამსახურში?

ტანვარჯიშის უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლის დირექტორი
მ. ჯუღელი.

რედაქციისაგან:

სპორტის დამსახურებული ოსტატის, ოლიმპიური ჩემპიონის მზია ჯუღელის ეს წერილი გადავწყვიტეთ ჩვენს გაზეთში დაგვებეჭდა, რამეთუ ავტორს ზუსტ და კომპეტენტურ პასუხს ალბათ გაერთიანება „სპორტსაქონლისა“ და რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელები გასცემენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ისინი სპარტაკიადის ფინალურ სტარტებზე გამოვლენ**



# გჯეროდეს მიზნისა

„ბრძოლა წამებთან, წამის მეათედებთან, უპირველეს ყოვლისა კი, საკუთარ თავთან. ბრძოლა, რომელიც ვარჯიშიდან ვარჯიშამდე, შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე გრძელდება. ამისთვის, დრამატული სიტუაციებისა და დიდი სისწრაფისათვის მიყვარსველოსპორტი, სპრინტი". — ეს სიტყვები საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის და მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს მედლის მფლობელს მერაბ სურმავას ეკუთვნის.

მერაბს ცენტრალურ ველოდრომზე შევხვდი. იგი მეგობრებთან ერთად ტრეკის ვირაჟზე იდგა და ველოსიპედის ადგილზე დგომას — სურ-პლიასს ამუშავებდა. ნებართვა მისი მწვრთნელის სპორტის დამსახურებულ ოსტატ ფხაკაძისაგან ავიღე. „ესაუბრეთ, ოღონდ მცირე ხნით. მძიმე დღეები გვაქვს და ყოველი წუთი ძვირად გვიღირს", — გამაფრთხილა ომარმა.

როგორც იქნა, დავიმარტოხელე, გაიღიმა და ხელი ჩამომართვა. სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა, ტანზე სველი მაისური მიჰკროდა.

— საათზე მეტია ვვარჯიშობ...

იგი ტრეკზე 1980 წელს მოვიდა და სულ ცოტა ხანში თანატოლებში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა — რამდენიმე თვეში საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ჩემპიონატის პრიზიორი გახდა. ნიჭიერი ჭაბუკი მიიწვიეს სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებში, რომლის შემადგენლობაშიც 1982 წლის ივლისში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა იტალიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე 1 კმ გიტში.

„მეტის გაკეთებაც შემეძლო, მაგრამ ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა იჩინა თავი, რომელიც, ვფიქრობ, ნაკრების მწვრთნელების მიერ დაშვებულ შეცდომებს მოჰყვა, — იგონებს მერაბი. შეჯიბრების ნაკრების ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გადაწყვეტილი ვინ გამოვიდოდა ჩემპიონატზე — მე თუ ჩემი კონკურენტი დიაჩენკო. მოგვიწყვეს საკონტროლო შეჯიბრება, რომელშიც მე გავიმარჯვე ისევე როგორც ადრე გამართულ სხვა ორთაბრძოლათა დროს, მაგრამ მწვრთნელები რატომღაც ყოყმანობდნენ სტარტზე ჩემს გამოყვანას. სტარტის წინ საკონტროლო შეხვედრამ, ზედმეტმა ნერვიულობამ ძალაუნებურად დაღი დაასვა ჩემს გამოსვლას და საბოლოოდ მესამე ადგილს დავჯერდი".

— ველოსპორტში ასე თუ ისე გათვითცნობიერებული ადამიანი იფიქრებს, რომ თქვენი ასეთი პროგრესი ცარიელი ადგილიდან არ წამოზრდილა.

— ჩვენი ოჯახი ძველი სპორტული ტრადიციების მქონე ოჯახია. ბავშვობიდანვე ჩამინერგეს სპორტის სიყვარული. მამაჩემი გურამ სურმავა თავის დროზე გეგეჭკორის „სალხინოში" თამაშობდა, შემდეგ ამ გუნდის მწვრთნელი იყო, მერე რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარე. ჩემი ძმა პავლე იმედისმომცემ მძლეოსნად ითვლებოდა რბენაში, დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი.

— სპორტსმენის მიღწევები დიდად არის დამოკიდებული მწვრთნელზე. ამბობენ, კარგი მწვრთნელი წარმატებათა საწინდარიაო...

— რა თქმა უნდა, იგი გარდა იმისა, რომ არჩეული სახეობის საიდუმლოებებში უნდა გახედებოდეს, შენი სულის მესაიდუმლეც უნდა იყოს, ჭირსა და ლხინში გვერდში გედგას. განუწყვეტელი წვრთნის რამდენიმე წლის მანძილზე ხანდახან დგება წუთი, როცა ყველაფერი გბეზრდება, აღარ გინდა ქალაქიდან ქალაქში შეჯიბრებებზე ხეტიალი, მკაცრი დიეტა, ყოველდღე ქანცგაწყვეტამდე ვარჯიში. გინდა ხელი ჩაიქნიო და ყველაფერი მიატოვო. სწორედ ამ დროს უნდა გყავდეს გვერდით ადამიანი, რომელიც დაგეხმარება იპოვო შენში ძალა, აღიდგინო საკუთარი თავის რწმენა, დაუბრუნდე არჩეულ გზას. აღმზრდელს და მოწაფეს უნდა სჯეროდეთ ერთმანეთისა, სჯეროდეთ იმ მიზნისა, რომლისთვისაც შრომობენ. უამისოდ ძნელია წარმატებაზე ფიქრი. აი, ამ თვალსაზრისით შემიძლია ვთქვა, რომ გამიმართლა. ჩემი პირველი დამრიგებელი ა. სტამევსკი თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანია. თუ მასთან ვარჯიშობ, ძნელია ველოსპორტის სენით არ დაავადდე. მასთან მეცადინეობისას ტრეკის მრავალ საიდუმლოზე ამეხილა თვალი.

ახლანდელი მწვრთნელი ომარ ფხაკაძე ჩემთვის არა მარტო სახელმოხვეჭილი სპორტსმენია, არამედ პიროვნებაც, რომელიც ქართული ველოსპორტის დღევანდელობით ცხოვრობს. მის ხვალინდელ დღეზე ზრუნავს. ომარის მდიდარი გამოცდილება დიდად სასარგებლოა ჩემთვის.

— ალბათ რაიმე საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის ემზადებით...

— მთავარი შეჯიბრება სპარტაკიადა იქნება. რესპუბლიკის ნაკრების ინტერესებისთვის გამოვალ გიტში და 4 კმ გუნდურ რბოლაში. გიტში დაგეგმილი გვაქვს ხუთეულში მოხვედრა.

... ველოსიპედისტები წრეს წრეზე უვლიან ტრეკის ოვალს, ერთგან ახალბედები შეგროვილან და ყურადღებით უსმენენ გამოცდილ მწვრთნელთა დარიგებებს.

მთელი დღის განმავლობაში, დილიდან გვიან ღამემდე არ წყდება დაძაბული მუშაობა თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე. მწვრთნელთა კოლექტივი, საქართველოს ნაკრების ყველა სპორტსმენი გულმოდგინედ ემზადება, რათა ღირსეულად გამოვიდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე. მათ შორის იქნება. მერაბ სურმავაც.

**ქ. ახალგედაშვილი.**

* * *

სურათზე: მ. სურმავა.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

---

● **საქართველოს ჩემპიონატი აკრობატიკაში**

# გართულებული პროგრამით

**დამთავრდა** საქართველოს სსრ ჩემპიონატი აკრობატიკაში, რომელიც პირველად გაიმართა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით. ასპარეზობაში თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აჭარისა და აფხაზეთის 120 სპორტსმენი მონაწილეობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნებისმიერი პროგრამის შესრულების შემდეგ უკვე გამოვლინდნენ საპრიზო ადგილების ძირითადი პრეტენდენტები. შემდგომში განსაკუთრებული დაძაბული ბრძოლა მათ შორის არ გამართულა. სპორტსმენთა ფინალურ ასპარეზობას უკვე განაწილებულ ადგილებში ცვლილებები არ შეუტანია. კვლავინდებურად, გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე დარჩნენ თბილისელი სპორტსმენები, რომლებმაც სხვებზე უკეთ გაართვეს თავი ახალ, გართულებულ პროგრამას. ეს არცაა გასაკვირი. მხოლოდ დედაქალაქში არის ყველა პირობა სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის — პირველ რიგში არაა შესაბამისი ბაზები და არიან გამოცდილი მწვრთნელები, მაგრამ თუ გვსურს აკრობატიკის ფართოდ განვითარება, მხოლოდ თბილისელ სპორტსმენთა წარმატებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ: აუცილებელია გავიხედოთ უფრო შორს, თვალყური ვადევნოთ, თუ როგორი მდგომარეობაა პერიფერიებში, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ქალაქები და რაიონები, სადაც შეიძლება მოინახოს პერსპექტიული, ნიჭიერი სპორტსმენები. მაგრამ სამწუხაროდ, ყველგან როდია სათანადო ბაზები.

**აი, რა გვითხრა ბათუმელმა მწვრთნელმა, ტანვარჯიშული სკოლის დირექტორის მოადგილემ ნელი აფაქიძემ:**

— აკრობატთა სავარჯიშოდ ელემენტარული პირობებიც კი არა გვაქვს. დარბაზში, სადაც ჩვენ ვვარჯიშობთ, არ არის ფიცარნაგი, აკრობატული ბილიკი. ჩვენი სპორტსმენები, რომლებსაც ასე თუ ისე წარმატების შანსი აქვთ, ოსტატობას იმაღლებენ და იზრდებიან მხოლოდ შეკრებების დროს, უმრავლესობა კი ან სპორტის სხვა სახეობაში გადადის, ან საერთოდ ანებებს თავს სპორტს. ვინ იცის რამდენ ნიჭიერ სპორტსმენს ვკარგავთ ბაზის უქონლობის გამო. იქ, სადაც აკრობატებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ, ვარჯიშისთვის ნორმალური პირობები რომ შეიქმნებოდეს, მაშინ თბილისელ აკრობატებს ღირსეული მეტოქეები ეყოლებათ სხვა რაიონებიდანაც.

განა ანგარიშგასაწევი არ არის ახალგაზრდა სპეციალისტის გულისტკივილი?

ახლა დავუბრუნდეთ შეჯიბრებას. გუნდურ ჩათვლაში მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: რუსთავი, აჭარა, ქუთაისი, აფხაზეთი. აკრობატულმა ბილიკმა გამოავლინა საუკეთესო მხტომელები — გოგონები ი. ხოფერია (თბილისი), ფ. სულაქველიძე (ქუთაისი), მ. სიმონოვა (თბილისი), ბიჭები გ. მარმარაშვილი, ზ. კილაძე, ვ. მელქაძე (სამივე — თბილისი).

ქალთა წყვილებში პირველ ადგილზე გავიდნენ მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობის ჩემპიონები თბილისელები ლ. ზანგალაძე და ლ. ჩოხელი, რომლებიც უფრო სტაბილურად და დამაჯერებლად ასპარეზობდნენ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბათუმელი სპორტსმენების ნ. ვეტოშკინას და მ. კოსტავას გამოსვლამ (მათ II ადგილი დაისაკუთრეს). ამ 12 წლის გოგონებს პროგრამაში ჰქონდათ ისეთი რთული ელემენტები, რომლებსაც მსოფლიო ჩემპიონები, თბილისელები ლ. გლაზუნოვა და ს. მკრტჩიანი ასრულებენ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დუეტს დიდი პოტენციური შესაძლებლობა აქვს. მესამე პრიზიორები იყვნენ თბილისელები ი. აზარაშვილი და ლ. გრიგოლაშვილი. ვაჟთა წყვილებში ადგილები ასე განაწილდა: დ. გაგოშვილი, რ. ნიკოლაიშვილი; რ. სვანიძე, მ. ალნიაშვილი (ყველა — თბილისი), ვ. და ა. ნაბიევები (რუსთავი).

შერეულ წყვილებში გაიმარჯვეს ქ. სარქისიანმა და პ. ლარიბოვმა (თბილისი), რუსთავის დუეტმა ს. ფიოდოროვამ და ე. ციცაგმა II ადგილი დაიკავეს, III ადგილზე გავიდნენ თბილისელები ე. ბერძენიშვილი და ქ. ფოფხაძე. ქალთა ჯგუფურ ვარჯიშში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის მ. შილაკაძის ტრავმის გამო მ. მნათობიშვილის, მ. შილაკაძისა და ლ. ქოქოშვილის ტრიო ამჯერად შედარებით უფერულად გამოვიდა და საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა. თუმცა, როგორც მათმა მწვრთნელმა ვ. გურგენიძემ აღნიშნა, გოგონები ახლა ემზადებიან საკავშირო თასისთვის ემზადება აგრეთვე თბილისელთა მეორე სამეულიც — ი. დემურიშვილი, ნ. ბერიანიძე და ი. ჩოხელი, რომლებიც სტაბილურად გამოვიდნენ რესპუბლიკის ჩემპიონატზე და ღირსეულადაც გაიმარჯვეს. II ადგილზე გავიდნენ თბილისელები მ. ლაბაძე, ქ. მაისურაძე, ი. ჩოქური. რუსთავის ტრიომ — ნ. შჩეგლოვას, ვ. ირემაშვილისა და ს. ბჟოიანის შემადგენლობით მესამე შედეგი აჩვენა.

ვაჟთა ოთხეულში უძლიერესები იყვნენ რუსთაველი სპორტსმენები პ. სუთიძე, ა. და კ. არუთინიანები, ა. გაბრიელიანი, რომლებმაც ბრწყინვალედ შეასრულეს მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი აკრობატული ილეთი — კოლონა მხრებზე, ცალ ხელზე ყირით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცდილი სპორტსმენებიც ემზადებიან ლენინგრადში გამოსასვლელად, სადაც მათი ძირითადი მეტოქეები მსოფლიო თასის გათამაშების საგზურისთვის ბრძოლაში იქნებიან კიეველი სპორტსმენები. მეორე ადგილი დაიკავეს გ. გაგოშვილმა, ვ. თურქაძემ, ს. სისოევმა, რ. ოგანესიანმა. III ადგილზე გავიდნენ დ. მღებრიშვილი, ო. სლივკოვი, გ. ახობაძე და გ. ალაპიშვილი.

**ა. ზენაო.**

* * *







**სურათებზე:** საქართველოს ჩემპიონები აკრობატიკაში (მარჯვნივ, ზემოდან — ქვევით): ხტომებში — ი. ხოფერია და კ. მარმარაშვილი; ქალთა სამეული — ნ. ბერიანიძე, ი. დემურიშვილი და ი. ჩოხელი; (ქვევით, მარცხნიდან) ქალთა წყვილებში — ლ. ზანგალაძე და ლ. ჩოხელი, ვაჟთა წყვილებში დ. გაგოშვილი და ზ. ნიკოლაიშვილი; შერეულ წყვილებში — ქ. ლარიბოვი და ა. სარქისიანი; ვაჟთა ოთხეულში — პ. სუთიძე, კ. და ა. არუთინიანები და ა. გაბრიელიანი.
ე. ხუცურაულის ფოტოები.









ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი ლიგა

# თბილისსა და ქუთაისში

გუშინ გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრი". დამაჯერებელი ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და ვილნიუსის „ჟალგირისი". წარმატება წილად ხვდათ სტუმრებს — 2:1.

## სხვა მატჩები

ტურის სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით:

„დინამო" კ. — ცსკა 1:0

„მეტალისტი" — „ტორპედო" მ. 1:1

„ფახთაქორი" — „ჩერნომორეცი" 1:2

„ზენიტი" — „ნისტრუ" 4:1

„ნეფთჩი" — „შახტიორი" 3:1

„არარატი" — „დინამო" მნ. 2:0

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში.

მოგვყავს სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის შეხვედრათა ტექნიკური მონაცემები:

„ნეფთჩი" (ბაქო) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 2:2 (1:1). დნეპროპეტროვსკელი უსტიმჩიკის გოლს პონომარიოვმა 2 ბურთით უპასუხა (ერთი — 11-მეტრიანით). მატჩის დასასრულს კი კუზნეცოვმა აღადგინა თანაფარდობა.

დუბლიორები — 2:2.

„ფახთაქორი" — „ნისტრუ" 2:1 (1:0). ანგარიში მე-2 წუთზე გახსნა ტაშკენტელმა იაკუბიკმა. 87-ე წუთზე ბელიალოვმა მეორე გოლი გაიტანა. წუთის შემდეგ კი ხლოპოტნოვმა ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა ანგარიშში.

დუბლიორები — 2:1.

„დინამო" (კიევი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 0:1 (0:0). კიეველთა კარში გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ტორპედოელმა ვასილიევმა.

გააფრთხილეს კიეველი სოროკალეტი და მოსკოველი პეტრენკო.

დუბლიორები — 8:1.

„ზენიტი" — „ჩერნომორეცი" 2:1 (1:0). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ლარიონოვმა და კაზაჩონოკმა (11-მეტრიანი), ხოლო „ჩერნომორეცის" მხრივ — ფინკმა.

დუბლიორები — 1:0.

„არარატი" — „ჟალგირისი" 1:0 (0:0). ბურთი 89-ე წუთზე გაიტანა ოჰანესიანმა.

გააფრთხილეს ვილნიუსელი სტანკიავიჩუსი.

დუბლიორები — 2:1.

„მეტალისტი"—ცსკა 1:1 (0:1) პირველ წარმატებას მიაღწიეს არმიელებმა (ნესტეროვი). საპასუხო ბურთი მასპინძლებმა გაიტანეს 82-ე წუთში (ტკაჩენკო).

დუბლიორები — 1:1.

● განვლილი ტური ყველაზე შედეგიანი იყო წლევანდელ გათამაშებაში — 8 მატჩში გავიდა 21 გოლი, საშუალოდ 1,98 ყოველ მატჩში.

● გათამაშების საუკეთესო ბომბარდირები არიან ერევნელი ხ. ოჰანესიანი და მოსკოვის ტორპედოელი ვ. პეტრაკოვი, რომელთა ანგარიშზე 5-5 ბურთია. ქუთაისელმა მ. მეგრელაძემ, მოსკოვის სპარტაკელმა ს. როდიონოვმა და მინსკელმა გ. კონდრატიევმა გაიტანეს 3-3 ბურთი.

● უმაღლეს ლიგაში თავისი 85-ე ბურთი გაიტანა თბილისის დინამოელმა რ. შენგელიამ.

# იწყება II ლიგის თამაშები

20 აპრილს იწყება სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში II ლიგის IX ზონის გუნდებს შორის. ზონის შემადგენლობა წლეულს ასეთია: „ლოკომოტივი" (სამტრედია), „დინამო" (ბათუმი), „მეშახტე" (ტყიბული), „კოლხეთი" (ფოთი), „დინამო" (სოხუმი), „დილა" (გორი), „მერცხალი" (მახარაძე), „კოტაიკი" (აბოვიანი), „სპარტაკი" (ოქტემბერიანი), „შირაკი" (ლენინაკანი), „ოლიმპია" (არტაშატი), „ყარაბახი" (სტეფანაკერტი), „არაზი" (ნახიჩევანი), „ქიაფაზი" (კიროვაბადი), „ხაზარი" (ლენქორანი), „ავტომობილისტი" (მინგეჩაური), „კოლხოზჩი" (აშხაბადი). ზონაში საქართველოს გუნდებიდან თბილისის „ლოკომოტივის" ადგილი დაიკავა რესპუბლიკის ჩემპიონმა — მახარაძის „მერცხალმა".

გათამაშების პირობები II ლიგაში წლეულს ისეთივეა, როგორც შარშან. IX ზონის გამარჯვებული სხვა 8 ზონის გამარჯვებულებთან ერთად ითამაშებს I ლიგაში გადასვლელი საგზურის მოსაპოვებლად გამართულ ტურნირში. 9 გუნდისაგან წილისყრით შეიქმნება 3 ჯგუფი, ამ ჯგუფებში ცალ-ცალკე გაიმართება ტურნირები, გამარჯვებულები გაისად გადავლენ პირველ ლიგაში.

საქართველოს გუნდებისთვის დაწესებულია შემდეგი ლიმიტი: გაისისთვის II ლიგაში გადასვლის უფლებას მოიპოვებენ რესპუბლიკის ჩემპიონი და თბილისის „დინამოს" საბაზო გუნდი, რომლებიც დაიკავებენ საქართველოს წარმომადგენელთა შორის უარესი შედეგების მქონე ბოლო ორი გუნდის ადგილს.

გათამაშების კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ყოველი 2 ტურის შემდეგ გუნდებს ეძლევათ 5-დღიანი შესვენება, რაც მათ ნორმალური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის საშუალებას უქმნის. გათვალისწინებულია ისიც, რომ შეძლების ფარგლებში II ლიგის ტურები არ დაემთხვას უმაღლესი და პირველი ლიგების კალენდარულ სათამაშო დღეებს, აგრეთვე, სსრ კავშირის ნაკრების გამოსვლებს და ევროპული საკლუბო ტურნირების თარიღებს.

ისევე როგორც შარშან, IX ზონაში დაგეგმილია შესვენება 13 ივლისიდან 12 აგვისტომდე, რომლის დროსაც გაიმართება საკავშირო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა თასის გათამაშება.

II ლიგის თამაშები მუდამ დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, უმთავრესად აქ იწრთობა ახალგაზრდობა, პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებმაც შემდგომში გზა უნდა გაიკაფონ პირველი და უმაღლესი ლიგების კოლექტივებში. ფეხბურთის მოყვარულები, გულშემატკივრები ყურადღებით ადევნებენ თვალს ჭაბუკ მოთამაშეებს, რომლებიც აღზრდილი არიან ადგილობრივ სპეციალიზებულ სპორტსკოლებში და ფიზკულტურულ კოლექტივებში.

# შეჯიბრების კალენდარი

## პირველი წრე

### IX ზონა

**20 აპრილი**

„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი), „დინამო" (ბათუმი) — „შირაკი" (ლენინაკანი), „კოტაიკი" (აბოვიანი) — „მეშახტე" (ტყიბული), „ოლიმპია" (არტაშატი) — „მერცხალი" (მახარაძე), „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) — „კოლხეთი" (ფოთი), „არაზი" (ნახიჩევანი) — „დინამო" (სოხუმი), „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „ავტომობილისტი" (მინგეჩაური), „ქიაფაზი" (კიროვაბადი) — „დილა" (გორი).

**23 აპრილი**

„ლოკომოტივი" — „შირაკი", „დინამო" ბ. — „სპარტაკი", „კოტაიკი" — „მერცხალი", „ოლიმპია" — „მეშახტე", „ყარაბახი"— „დინამო" ს., „არაზი" — „კოლხეთი", „კოლხოზჩი" — „ხაზარი".

**29 აპრილი**

„დინამო" ს. — „დინამო" ბ., „კოლხეთი" — „ლოკომოტივი", „სპარტაკი" — „კოლხოზჩი", „ხაზარი" — „ოლიმპია", „ავტომობილისტი" — „კოტაიკი", „მეშახტე" — „დილა", „მერცხალი" — „ქიაფაზი".

**2 მაისი**

„დინამო" ს. — „ლოკომოტივი", „კოლხეთი" — „დინამო" ბ., „შირაკი" — „კოლხოზჩი", „ხაზარი" — „კოტაიკი", „ავტომობილისტი" — „ოლიმპია". „მეშახტე" — „ქიაფაზი", „მერცხალი" — „დილა", „არაზი" — „ყარაბახი".

**8 მაისი**

„კოლხოზჩი" — „კოლხეთი", „კოტაიკი" — „სპარტაკი", „ოლიმპია" — „შირაკი", „დილა" — „ავტომობილისტი", „ქიაფაზი" — „ხაზარი", „ლოკომოტივი"—„არაზი", „დინამო" ბ. —„ყარაბახი".

**10 მაისი**

„მერცხალი" —„მეშახტე".

**11 მაისი**

„კოლხოზჩი" — „დინამო" ს., „კოტაიკი" — „შირაკი", „ოლიმპია" — „სპარტაკი", „დილა" — „ხაზარი", „ქიაფაზი" — „ავტომობილისტი", „ლოკომოტივი" — „ყარაბახი", „დინამო" ბ. — „არაზი".

**17 მაისი**

„დინამო" ს. — „ოლიმპია", „კოლხეთი" — „კოტაიკი", „შირაკი" — „დილა", „სპარტაკი" — „ქიაფაზი", „ხაზარი" — „მერცხალი", „ავტომობილისტი" — „მეშახტე". „ყარაბახი" — „კოლხოზჩი", „დინამო" ბ. — „ლოკომოტივი".

**20 მაისი**

„დინამო" ს. — „კოტაიკი", „კოლხეთი" — „ოლიმპია", „შირაკი" — „ქიაფაზი", „სპარტაკი" —„დილა", „ხაზარი" — „მეშახტე", „ავტომობილისტი" — „მერცხალი", „არაზი" — „კოლხოზჩი".

**27 მაისი**

„დილა" — „დინამო" ს., „ქიაფაზი" — „კოლხეთი", „მეშახტე" — „შირაკი", „მერცხალი" — „სპარტაკი", „კოლხოზჩი" — „ლოკომოტივი", „კოტაიკი" — „ყარაბახი", „ოლიმპია" — „არაზი".

**28 მაისი**

„ხაზარი" — „ავტომობილისტი".

**30 მაისი**

„დილა" — „კოლხეთი", „ქიაფაზი" — „დინამო" ს., „მეშახტე" — „სპარტაკი", „მერცხალი" — „შირაკი", „კოლხოზჩი" — „დინამო" ბ., „კოტაიკი" — „არაზი", „ოლიმპია" — „ყარაბახი".

**5 ივნისი**

„დინამო" ბ. — „ოლიმპია", „ლოკომოტივი" — „კოტაიკი", „დინამო" ს. — „მეშახტე", „კოლხეთი" — „მერცხალი", „შირაკი" — „ხაზარი", „სპარტაკი" —„ავტომობილისტი", „ყარაბახი" — „დილა", „არაზი" — „ქიაფაზი".

**8 ივნისი**

„დინამო" ბ. —„კოტაიკი", „ლოკომოტივი" — „ოლიმპია", „დინამო" ს. — „მერცხალი", „კოლხეთი" — „მეშახტე", „შირაკი"— „ავტომობილისტი", „სპარტაკი" — „ხაზარი", „ყარაბახი" — „ქიაფაზი", „არაზი" — „დილა".

**14 ივნისი**

„მერცხალი" — „არაზი", „მეშახტე" — „ყარაბახი", „დილა" — „ლოკომოტივი", „ქიაფაზი" —„დინამო" ბ., „ხაზარი" — „დინამო" ს., „ავტომობილისტი" — „კოლხეთი", „ოლიმპია" — „კოლხოზჩი", „შირაკი" — „სპარტაკი".

**17 ივნისი**

„მერცხალი" — „ყარაბახი", „მეშახტე" — „არაზი", „დილა" — „დინამო" ბ., „ქიაფაზი" — „ლოკომოტივი", „ხაზარი" — „კოლხეთი", „ავტომობილისტი" —„დინამო" ს., „კოტაიკი" — „კოლხოზჩი".

**22 ივნისი**

„კოლხეთი" — „სპარტაკი", „დინამო" ს. — „შირაკი", „დინამო" ბ. — „მერცხალი", „ლოკომოტივი" — „მეშახტე", „კოლხოზჩი" — „დილა", „ყარაბახი" — „ხაზარი", „არაზი" — „ავტომობილისტი".

**25 ივნისი**

„კოლხეთი" — „შირაკი", „დინამო" ს. — „სპარტაკი", „დინამო" ბ. — „მეშახტე", „ლოკომოტივი" — „მერცხალი", „კოლხოზჩი" — „ქიაფაზი", „ყარაბახი" — „ავტომობილისტი", „არაზი" — „ხაზარი", „ოლიმპია"—„კოტაიკი".

**30 ივნისი**

„მერცხალი" — „კოლხოზჩი", „დილა" — „კოტაიკი", „ქიაფაზი" — „ოლიმპია", „ხაზარი" — „დინამო" ბ., „ავტომობილისტი" — „ლოკომოტივი", „შირაკი" — „ყარაბახი", „სპარტაკი" — „არაზი".

**3 ივლისი**

„მეშახტე" — „კოლხოზჩი", „დილა" — „ოლიმპია", „ქიაფაზი" — „კოტაიკი", „ხაზარი" — „ლოკომოტივი", „ავტომობილისტი" — „დინამო" ბ., „შირაკი" — „არაზი", „სპარტაკი" — „ყარაბახი", „დინამო" ს. — „კოლხეთი".

• • •

**შენიშვნა:** შეხვედრები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

# ახალი პრიზი

ქ. რუსთავის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი გამოეხმაურა მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ინიციატივას „არც ერთი უდისციპლინო და ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით" და საქართველოს სპორტკომიტეტში წინადადება შეიტანა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეთათვის დაწესდეს სპეციალური პრიზი „ყველაზე კორექტულ გუნდს".

ამიერიდან რუსთავის სპორტკომიტეტი ამ პრიზს გადასცემს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე გუნდს, რომელსაც დისციპლინის ყველაზე ნაკლები დარღვევა ექნება ჩატარებულ კალენდარულ თამაშებში.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

## ევროპის ჩემპიონატი

### V ჯგუფი

ამ ჯგუფში გაიმართა 2 მატჩი. საყოველთაო ინტერესს იწვევდა შეხვედრა ბუქარესტში, რუმინეთისა და იტალიის ფეხბურთელთა შორის. მასპინძლებმა ძლიერად ითამაშეს მსოფლიო ჩემპიონთა წინააღმდეგ და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. გოლი 25-ე წუთზე გაიტანა ბოლონიმ.

იტალიელები ამ მატჩში თავიანთი საუკეთესო შემადგენლობით გამოდიოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერას გახდნენ. მსოფლიო ჩემპიონებს ახლა ჯგუფში არც ერთი გამარჯვება არა აქვთ მოპოვებული და მათი მოხვედრა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ერთობ სათუოა.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა თავის მინდორზე მიიღო კიპროსის გუნდი და იოლად გაიმარჯვა — 6:0. 2-2 ბურთი გაიტანეს დანეკმა და ვიზეკმა, თითო — პროკეშმა და იურკემიკმა.

გათამაშების ცხრილი V ჯგუფში სადღეისოდ ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 6—1 | 7 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 1 | 3 | 0 | 11—5 | 5 |
| შვეცია | 3 | 1 | 1 | 1 | 3—4 | 3 |
| იტალია | 4 | 0 | 3 | 1 | 2—3 | 3 |
| კიპროსი | 5 | 0 | 2 | 3 | 8—12 | 2 |

## ჩემპიონატები, მატჩები, ცხრილები

### ინგლისი

„ლივერპული" ფორმალურად ჯერ კიდევ არაა ჩემპიონი, თუმცა პირველი ადგილი მას არსებითად გარანტირებული აქვს.

XXXVI ტურის შედეგები ასეთია: „არსენალი" (ლონდონი) — „კოვენტრი სიტი" 2:1, „ბირმინგემ სიტი" — „ნორვიჩ სიტი" 0:4, „ბრაიტონ ალბიონი" — „ევერტონი" (ლივერპული) 1:2, „იფსვიჩ თაუნი" — „ნოთს ქაუნთი" 0:0, „ლივერპული" — „სუონსი სიტი" 3:0, „ლუტონ თაუნი" — „ასტონ ვილა" (ბირმინგემი) 2:1, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „საუთჰემპტონი" 1:1, „ნოტინგემ ფორესტი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი) 2:2, „სტოკ სიტი" — „მანჩესტერ სიტი" 1:0, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" — „უოტფორდი" 1:3, „ვესტ ჰემ იუნაიტედი" (ლონდონი) — „სანდერლენდი" 2:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 35 | 83—26 | 80 |
| „უოტფორდი" | 36 | 66—45 | 64 |
| „მანჩ. იუნ." | 34 | 46—26 | 60 |

ყურადღებას იპყრობს „ლივერპულის" თავდამსხმელთა მაღალი შედეგიანობა. ინგლისში სპეციალური ჯილდოა დაწესებული გუნდისთვის, რომელიც ჩემპიონატში 84 გოლს გაიტანს (საშუალოდ 2 ბურთი ერთ თამაშში). ხშირად ეს ჯილდო არავის ენიჭება ხოლმე, მაგრამ წლეულს, უდავოა, მას „ლივერპული" მოიპოვებს.

მეორე ლიგაში გადასვლა ემუქრებათ „ბირმინგემ სიტის" (34 ქულა), „ბრაიტონ ალბიონს" (35), „სუონსი სიტისა" (36) და „ლუტონ თაუნს" (37).

### ბელგია

ჩემპიონობის პრეტენდენტთა მდგომარეობა ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 28 | 64—29 | 41 |
| „სტანდარდი" | 28 | 66—30 | 40 |
| „ანტვერპენი" | 28 | 44—26 | 39 |

### ჰოლანდია

„აზ-67 ალკმარმა" ამსტერდამში წააგო „აიაქსთან" — 2:3, ხოლო როტერდამის „ფეიენოორდმა" ანგარიშით 2:1 სძლია „ჰელმონდ სპორტს".

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 29 | 83—30 | 49 |
| „ფეიენოორ." | 29 | 62—31 | 48 |
| „პსვ ეინდჰ." | 29 | 74—29 | 45 |

### შვეიცარია

20 ტურის შემდეგ ბრძოლას ჩემპიონობისთვის განაგრძობენ მხოლოდ ჟენევის „სერვეტი" და ციურიხის „გრასჰოპერსი". XX ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ამ გუნდების შეხვედრამ ჟენევაში. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „სერვეტმა".

| | | | |
|---|---|---|---|
| „სერვეტი" | 20 | 44—12 | 34 |
| „გრასჰოპერ." | 20 | 57—22 | 31 |
| „ფკ ციურიხი" | 20 | 37—28 | 25 |

### შოტლანდია

ჩემპიონობის 3 პრეტენდენტიდან XXXI ტურში გაიმარჯვა ორმა: „სელტიკმა" (გლაზგო) ანგარიშით 3:0 ედინბურგის „ჰიბერნიენთან", ხოლო „დანდი იუნაიტედმა" — 2:1 „სენტ მირენთან". „აბერდინი" დამარცხდა „გლაზგო რეინჯერსთან" — 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 31 | 77—30 | 49 |
| „დანდი იუნ." | 31 | 73—32 | 46 |
| „აბერდინი" | 30 | 60—24 | 44 |

### იტალია

ლიდერთა ჯგუფში კვლავინდებურად წინაა „რომა", რომელმაც განვლილ ტურში ანგარიშით 2:0 დაამარცხა „კატანძარო", ხოლო ლიდერის მდევარმა „იუვენტუსმა" მოუგო „ასკოლის" — 5:0. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ბეტეგამ გაიტანა ბურთი, რომელიც „იუვენტუსისთვის" მესამიათასეა იტალიის ჩემპიონატების ისტორიაში. ამავე მატჩში „იუვენტუსის" მეკარემ, 41 წლის დინო ძოფმა 566-ე მატჩი ჩაატარა უმაღლეს ლიგაში.

26 ტურის შემდეგ „რომას" 37 ქულა აქვს, „იუვენტუსს" — 33, ხოლო „ინტერს" — 32.

### თურქეთი

ლიდერთა ოთხეულში კვლავინდებურად იმყოფებიან „ფენერბახჩე" და „გალათასარაი" — 33-33 ქულა თითოეულს, „ტრაბზონსპორი" — 31 და „ბეშიქთაში" — 25.

## საიუბილეო ჩემპიონატი ● ჭადრაკი

**რომანიშვილმა** მოუგო აგზამოვს, ვაჰანიანი — კასპაროვი, გელერი — პოლუგაევსკი, ფსახისი — ბალაშოვი და ლერნერი — ტუკმაკოვიკი ყაიმზე შეთანხმდნენ. ორი პარტია გადაიდო. აი, ასე დამთავრდა სსრ კავშირის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატის XII ტური.

ახლა იმაზე თუ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა. რომანიშვილი უფრო ღრმად ჩაწვდა პოზიციის საიდუმლოებას, მიაგნო მოგების რესურსებს და შეძლო მათი რეალიზება. ვაჰანიანი და კარპოვი თავიდანვე ყაიმზე ყაბულს იყვნენ, ამიტომ არც უცდიათ თამაშის გართულება. დანარჩენი პარტიები დაძაბულად წარიმართა. ბალაშოვმა ვერ გამოიყენა თავისი პოზიციის ღირსებები, პოლუგაევსკიმ და გელერმა საინტერესო პოზიციური დუელი გააჩაღეს, მაგრამ უპირატესობა ვერც ერთმა ვერ მოიპოვა. ლერნერი და ტუკმაკოვი სწორედ მაშინ დაზავდნენ, როცა პოზიცია ძალიან გამწვავდა.

გადადებულ პარტიებში მალანიუკი უგებს ბელიავსკის, რაზუვაევს უპირატესობა აქვს პეტროსიანთან.

ამ დღეს ზ. აზმაიფარაშვილი ისვენებდა.

12 ტურის შემდეგ ლიდერობენ ლ. ფსახისი (კრასნოიარსკი) — 6(2), ა. კარპოვი (მოსკოვი) — 6(1), ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — 6.

## სამტრედიელთა წარმატება ● შაში

**კასპში** დამთავრდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნორჩ მოშაშეთა ჩემპიონატი რუსულ შაშში.

გოგონებში I ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა ლალი ჩომახიძემ, ჭაბუკთა შორის — ოსტატობის კანდიდატმა იმედა შანიძემ (ორივე — სამტრედია), ორივე ჩემპიონი სამტრედიის პიონერთა სახლის (მწვრთნელი ა. გრიგოლია) აღსაზრდელია.

**ი. ნიკოლეიშვილი,**
(„ლელოს" კორ.).

## გმირის სახელობისა

**მათ** შორის, ვინც თავი დასდო სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში, იყო ვახტანგ ლექავაც. პირტიტველა ჭაბუკი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, უყოყმანოდ დადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ორჯონიკიძედან ნიკოლაევამდე სდია სვასტიკიან არამზადებს და აქ დაასრულა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე, მაგრამ მისი გმირობა დღესაც შარავანდედითაა მოსილი. მის სახელს დავიწყება არ უწერია. აკი მადლიერი ქართველი ხალხი უკვე მეთორმეტედ მართავს მისი სახელობის მემორიალს, რომელსაც მასპინძლობს მისი მშობლიური ინსტიტუტის ჩოგბურთის კორტები. ამ ინსტიტუტის კედლებში მიიღო მან სტუდენტის ბილეთი, მაგრამ სპორტული დაოსტატება ვერ მოასწრო...

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები დღეს ჩაებმებიან საინტერესო ბრძოლაში საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ლექავას საპატიო პრიზისათვის, რომელიც 1972 წლის შემდეგ მეთორმეტედ იმართება, ტურნირის გამარჯვებულთა შორის იყვნენ ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორიც არიან რ. ახმეროვი, ვ. პერეგუდოვი, გ. ელერდაშვილი, ვ. ბაკში, ა. ივანოვა, ნ. თუხარელი, ი. ზაიცევა, ს. ჩერნიოვა და სხვები.

## ● ჩოგბურთი

## სხვადასხვა მერიდიანზე

**საფრანგეთის** ქალაქ ექს-ანპროვანსის კორტებზე გამართული ტურნირი რიგით მესამეა, სადაც დაუმარცხებლად გამოვიდა შვეციის 18 წლის ამომავალი ვარსკვლავი მატს ვილანდერი. ასპარეზობის მთავარი ფავორიტი ადვილად გავიდა ფინალში. გადამწყვეტ შეხვედრაში მისი მეტოქე იყო ახალგაზრდა ესპანელი ჩოგბურთელი სერხიო კასალი, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში 129-ე ადგილზეა.

ესპანელმა ნახევარფინალში დაამარცხა მასპინძელთა მეორე ჩოგანი ანრი ლეკონტი, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში ფარ-ხმალი დაყარა ვილანდერთან — 6:3, 6:2.

**ამერიკის** სამხრეთ კოროლინას ქალაქ ჰილტონ ჰედ აილენდში გამართულ საერთაშორისო ტურნირის ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი ცნობილი სპორტსმენი — ჩეხოსლოვაკიელი ი. ლენდლი და არგენტინელი გ. ვილასი. მოსალოდნელი დაძაბული ბრძოლა არ შემდგარა. ლენდლმა ყველა რგოლში დაჯაბნა მეტოქე — 6:2, 6:1, 6:0.

**ამელია** აილენდის (ფლორიდა) სარბიელის სენსაციად იქცა 15 წლის კანადელი გოგონას კარლინგ ბასეტის გამოსვლა. მან ფინალამდე დაამარცხა ისეთი გამოცდილი ოსტატები, როგორიცაა რუმინელი ვ. რუჩიჩი, ბ. ბუნგე (გფრ), აგრეთვე ამერიკული ჩოგბურთის იმედი კეტი რინალდი.

გადამწყვეტ მატჩში კი ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ მაინც დათმო ორსაათნახევრიანი ბრძოლა — 6:3, 2:6, 7:5 ცნობილ ჩემპიონ კრის ევერტ-ლოიდთან.

## მე და რეგბი

**სახელოვანი ქართველი რეგბისტი დავით კილასონია წლეულს მიწვეული იყო საფრანგეთში გამართულ რეგბის მწვრთნელთა სემინარზე. რეგბისტთა კლუბმა ევროპის იდეალური ნაკრების წევრსა და სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს საჩუქრად გადასცა რეგბის შესახებ დაწერილი „ოქროს წიგნი", რომელშიც თავმოყრილია რეგბისტთა საუკეთესო მატჩების ბრწყინვალედ ილუსტრირებული აღწერილობა. წიგნს წამძღვარებული აქვს ფრანგი მწერალი ქალის ფრანსუაზა საგანის წინასიტყვაობა. ვაქვეყნებთ ამ მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავ წინათქმას, რომელიც ფრანგულიდან თარგმნა საქართველოს რეგბის ფედერაციის პროპაგანდის სექციის ხელმძღვანელმა ედიშერ გიორგაძემ.**

მე, სუსტ არსებას, დამდეს დიდი პატივი წინასიტყვა წამემძღვარებინა ძლიერთა სპორტის — რეგბის შესახებ შექმნილ „ოქროს წიგნისათვის". ალბათ იმიტომ, რომ დავიბადე და გავიზარდე იმ ადგილების ახლოს, სადაც რეგბი ოდითგანვე დიდ პატივში იყო. გარდა ამისა, ბიძაჩემი, პიერ ლობარდი, ცნობილი რეგბისტი გახლდათ. ხშირად მსმენია ბიძის ხოტბა-დიდება მის კოლეგათაგან. ეს თამაში ჩემთვის ბავშვობიდანვე ახლობელია, ჩემი საგვარეულოს მამაკაცებს ხშირად ვხლებივარ რეგბისტთა შეჯიბრებებზე. ერთხელ ლონდონშიაც კი ჩავედი საგანგებოდ ინგლისისა და საფრანგეთის რეგბისტთა მატჩზე დასასწრებად.

რას ვიტყოდი რეგბიზე? ეს არის ჭეშმარიტად მამაკაცური სპორტი. აქ ჩანს მამაკაცი მთელი მისი არსებით, სიმძიმითა თუ სიმსუბუქით. ეს თამაში ძალზე აკავშირებს მათ. აქცევს ერთი მეორეზე დამოკიდებულად. ძალზე დიდ სიხარულთან არიან წილნაყარნი რეგბისტები, რადგან რეგბის თამაში მათ დღესასწაულად მიაჩნიათ. ამის დასტურია ის თავდავიწყება, რომლითაც ჩაებმებიან ხოლმე თამაშში და ის აღტყინება, რომელიც მათ „დამიწების" შემდეგ ეუფლებათ. საამოა საცქერად თუ როგორ ახტებიან ერთმანეთს გამარჯვებით ფრთაშესხმული გუნდის წევრები. ერთსაც დავსძენდი: მე არ მინახავს უჭკუო რეგბისტი, ყველა ისინი, რაღაც მიზეზით, დიდი გონიერებით, გამჭრიახობითა და საზრიანობით გამოირჩევიან. ეს ჩემი პირადი აზრია.

როდესაც რეგბის თამაშს ვუყურებ, ჩემი ბავშვობა მახსენდება — სილაღისა და ბუნებრივობის ხანა. ორივე თვისება კი ფართო გაგებით, მამაკაცთა, განსაკუთრებით კი რეგბისტთა კუთვნილებაა.

## I ტურის შემდეგ

**ფერგანასა** და **კენტაუში** დამთავრდა რეგბისტთა საიუბილეო XX საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური. ფერგანაში დასკვნითი მატჩები ასეთი შედეგებით აღინიშნა: სსა-„ავიატორი" (კიევი) — 18:15, მოსკოვის „ლოკომოტივმა" სარეკორდო ანგარიშით — 72:0 დაამარცხა გათამაშების დებიუტანტი — კაუნასის „სტაკლისი", ხოლო ქართველმა რკინიგზელმა სპორტსმენებმა დამაჯერებლად სძლიეს კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროის" — 23:14.

მეორე ქვეჯგუფში მოსკოვის „სლავამ" დაჯაბნა „ფილის" გუნდი — 11:3, ქუთაისის „სახლმშენმა" ფრედ ითამაშა ლვოვის „სოკოლთან" — 6:6, ლენინგრადის „პრიმორეცმა" კი დაამარცხა კიევის „პოლიტეხნიკი" — 26:3.

რეგბისტთა ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი შეხვედრების შემდეგ, რომელიც მოსკოვში გაიმართება, 7 უძლიერესი გუნდი ოქტომბრის ბოლომდე, მიმოსვლით ორ წრედ გაითამაშებს საპრიზო ადგილებს. აგვისტოში სპორტსმენები დაისვენებენ. ამ დროს ჩატარდება შეხვედრები სსრ კავშირის თასზე და საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის რეგბის ფედერაციის პრიზზე.

**პირველი ტურის შემდეგ ცხრილი ასე გამოიყურება:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სლავა" | 5 | 5 | 0 | 0 | 67—25 | 15 |
| „ლოკ." მ. | 5 | 4 | 1 | 0 | 155—47 | 14 |
| სსა | 5 | 4 | 0 | 1 | 108—64 | 13 |
| „ფილი" | 5 | 4 | 0 | 1 | 66—44 | 13 |
| „ავიატ." | 5 | 3 | 0 | 2 | 136—62 | 11 |
| „ლოკ." თბ. | 5 | 2 | 1 | 2 | 71—48 | 10 |
| „სახლმ." ქ. | 5 | 2 | 1 | 2 | 51—47 | 10 |
| „პრიმორ." | 5 | 2 | 0 | 3 | 60—60 | 9 |
| „სოკოლი" | 5 | 1 | 1 | 3 | 45—51 | 8 |
| „ექსკავატორტიაჟსტროი" | 5 | 1 | 0 | 4 | 66—133 | 7 |
| „პოლიტ." | 5 | 0 | 0 | 5 | 25—87 | 5 |
| „სტაკლ." | 5 | 0 | 0 | 5 | 29—211 | 5 |

(გამარჯვება — სამი ქულა, ფრე — ორი, დამარცხება — ქულა).

### ● ველორბოლა

**რიგელი** ველოსიპედისტის დ. ლიეპინშის გამარჯვებით დამთავრდა სამხრეთ საქსონიაში გამართული ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორ ეტაპზე ავსტრიელი ჰ. ვექსელბერგერი იყო უძლიერესი, ლიდერთა მდგომარეობა არ შეცვლილა.

საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე არიან გდრ-ის წარმომადგენლები უ. რააბი და დ. რადკე, რომლებიც შესაბამისად 20 წამითა და 1.14-ით ჩამორჩნენ რიგელს. პირველ ათეულში მოხვდნენ აგრეთვე რიგელი ი. ფელსი (მეოთხე) და ტაშკენტელი ს. ვორონინი (მეშვიდე). მშვიდობის ველორბოლა-82-ის გამარჯვებული ო. ლიუდვიგი მხოლოდ X ადგილს დასჯერდა.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო გდრ-ის კოლექტივი, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სსრ კავშირისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები.

ეს ასპარეზობა, რომელშიც 9 ქვეყნის ველოსიპედისტები გამოდიოდნენ, მშვიდობის ველორბოლისათვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო.

### ● წყალქვეშ ცურვა

**ქ. პიკალევოს** აუზში დამთავრდა წყალქვეშ მოცურავეთა საკავშირო თასის გათამაშება. მსოფლიო რეკორდსმენმა და ჩემპიონმა ე. ოქტიაბრსკაიამ ორი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

## პანორამა

100 მეტრზე ჩქაროსნულ ცურვაში ნოვოსიბირსკელმა 18 წლის სტუდენტმა მანძილი 41,5 წამში გაცურა და ახლახან დამყარებულ მისსავე მიღწევას 0,2 წამი ჩამოაკლო.

### ● მაგიდის ჩოგბურთი

**მაგიდის** ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც იაპონიის დედაქალაქში 28 აპრილიდან 10 მაისამდე გაიმართება, მეტად წარმომადგენლობითი იქნება. როგორც ტურნირის ორგანიზატორები იუწყებიან, გუნდურ და პირად შეჯიბრებებში 83 ქვეყნის 500 სპორტსმენი იასპარეზებს — 60 ვაჟთა და 49 ქალთა ნაკრები გუნდები.

უშუალოდ ჯილდოებისთვის ბრძოლა გაიმართება იმ 16-16 ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის, რომლებიც განისაზღვრა იუგოსლავიის წინა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით. ისინი ორ ქვეჯგუფად დაიყოფიან და მატჩებს გამართავენ წრიული სისტემით. მედლებისთვის ბრძოლას განაგრძობს თითოეული ჯგუფის ორ-ორი უძლიერესი გუნდი.

საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთელი ვაჟები პირველ წინასწარ მატჩს გამართავენ წინა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებთან, უნგრეთის ნაკრებთან. ამავე ქვეჯგუფში გამოდიან იაპონიის, ინგლისის, პოლონეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, იტალიისა და დანიის გუნდები.

სსრ კავშირის ქალთა ნაკრები პირველ მატჩს გამართავს შვეციის გუნდთან, ქვეჯგუფში მათი მეტოქეები იქნებიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, იაპონიის, ინგლისის, ფინეთისა და ავსტრიის სპორტსმენები.

გუნდური შეჯიბრების შემდეგ გაიმართება პირადი ტურნირი.

### ● მძლეოსნობა

**ბოსტონი.** ტრადიციული ბოსტონის მარათონი მოიგო მონაწილეთაგან ყველაზე ტანდაბალმა ქალმა ჯოან ბენუამ (სიმაღლე 156 სმ), რომელმაც არა მარტო მეტოქეებს გაუსწრო, არამედ ახალზელანდიელი მორბენლის ელისონ როუს მსოფლიო მიღწევაც გააუმჯობესა. ამ გამარჯვებით მან აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში მძლეოსანთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ვაჟთა შორის საუკეთესო იყო გ. მაიერი (აშშ) — 2:09.00. (საკდესი).

### ● წიგნის თარო

## საინტერესო გამოცემა




**ძალზე** დიდია საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" წვლილი ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს აქტუალური საკითხების პროპაგანდაში. სერიით „ფიზკულტურა და სპორტი" ყოველწლიურად რამდენიმე საინტერესო ბროშურას იღებს მკითხველი. ახლახანს კიდევ ერთი ასეთი ბროშურა გამოვიდა. ესაა ჟურნალისტ თ. გაჩეჩილაძის ნაშრომი „ცხენოსნობის განვითარებისათვის საქართველოში" (რედაქტორი ვ. ელოშვილი). ბროშურის შინაარსი იშლება „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების ფონზე. განხილულია ამჟამად რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა და ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომელიც უკვე გადაიდგა ამ დადგენილების შესრულებისათვის. ავტორი იქვე ეხება აგრეთვე მომავლის ამოცანებს. ბროშურას დართული აქვს ილუსტრაციები, რაც უფრო საინტერესოს ხდის მას.

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 9 აპრილს შემდგარი „სპორტლოტოს" მე-15 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 49"-დან:** ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (11 ბარათი) მოგება 3427 მანეთია, ოთხისთვის (579 ბარათი) — 73, სამისთვის (12476 ბარათი) — 5.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 6657 მანეთია, ოთხისთვის (1474 ბარათი) — 184, სამისთვის (60058 ბარათი) — 7.

მოგებული თანხის განაღდება — 20 აპრილიდან 20 მაისის ჩათვლით.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

უე 07543